

შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის საერთაშორისო აღიარება!

2012 წელს გამომცემლობამ “Cambridge Scholars Publishing” გამოსცა წიგნი „ტოტალიტარიზმი და ლიტერატურული დისკურსი. მე-20 საუკუნის გამოცდილება“ (“Totalitarianism and Literary Discourse. 20th Century Experience”), რომელიც მომზადდა შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტში. წიგნის რედაქტორია ინსტიტუტის დირექტორი, პროფესორი ირმა რატიანი.

წიგნს საფუძვლად დაედო 2009 წელს, ლიტერატურის ინსტიტუტში ჩატარებული ამავე სახელწოდების საერთაშორისო კონფერენციის მასალები. კონფერენცია ჩატარდა შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მხარდაჭერით და თავი მოუყარა დარგის აღიარებულ სპეციალისტებს მთელი მსოფლიოს მასშტაბით. ეს იყო პირველი საერთაშორისო ფორუმი, რომელიც დაეთმო ტოტალიტარიზმის, უპირატესად საბჭოთა ტოტალიტარიზმის გავლენასა და შედეგებს ლიტერატურულ პროცესზე. კონფერენციის დასრულების შემდეგ, 2010 წელს ქართულ ენაზე დაიბეჭდა მასალების კრებული, რომელმაც ფართო საერთაშორისო ყურადღება მიიზიდა. სწორედ ამ მასალების რჩეული 2012 წელს ინგლისურ ენაზე გამოსცა ცნობილმა ინგლისურმა საგამომცემლო სახლმა – “Cambridge Scholars Publishing”.

ეს არის ფილოლოგიური პროფილის პირველი სამეცნიერო წიგნი, რომელიც მომზადდა საქართველოში, ქართულ კვლევით ცენტრში და რომელმაც საერთაშორისო აღიარებას მოიპოვა. წიგნის გამოცემა ესოდენ პრესტიჟულ უცხოურ გამომცემლობაში არის უაღრესად სერიოზული ნაბიჯი, გადადგმული ქართული მეცნიერების ინტერნაციონალიზაციისაკენ, რაც უსათუოდ შეუწყობს ხელს თანამედროვე ქართული ფილოლოგიური სკოლის მიღწევების ექსპორტს საერთაშორისო სამეცნიერო სივრცეში.